დარბაზში ხანგრძლივი ტაში ქუსს, ისმის აღტაცებული შეძახილები... ამ დღიდან დაიწყო, თამარის გზა ხელოვნებაში. საქართველოს ფილარმონიის საესტრადო კოლექტივების სხვა ნიჭიერ წარმომადგენელთა გვერდით თამარმა მაცურებლის ფართო აღიარება დაიმსახურა. არ დარჩენილა საქართველოს თითქმის არცერთი კუთხე, სადაც მადლიერი მაცურებელი მოწოდებით არ შეეგებებოდა ნიჭიერ მსახიობს. თამარისათვის საამაყო და სასიქალუღოა, რომ გამოდიოდა ქართული სცენის ისეთ დიდ ოსტატებთან ერთად, როგორც არიან — ვასო გოძიაშვილი და პიერ კობახიძე, სერგო და ბუსუტი ზაქარაძეები, ემანუელ აფხაძე და სტეფანე ჯაფარიძე, აკაკი კვანცალიანი და სანდრო ფორჭოლაძე, თამარ ტავადაძე, ცეკვილია თაყაიშვილი და სხვები.

თ. მისურაძე ცხოვრებაში მოკრძალებული და საილი ადამიანი, სცენაზე კი უმარტოებულს ხიბლავს გარდასასხვის ენებით, მსმენელს თავიდანვე იპყრობს და მხიარულ მსაყაროში გადაჰყავს. მის მიერ შექმნილი ეუმობრული სახეები მრავალფეროვანია. ხან შრომობილი კაცი, ხან შეუვალოვანი, ზოროცნე ემწაწილი და ფიცხი გურული, მჭირიყვად ემწაწილი და სიმართლის ძალით იპყრობს მაცურებლებს. აიყოლებს მას და განაძღვრებებს, რასაც თვითონ გრძნობს, მსახიობი უმღერის ადამიანს, მეგობრობას, მშვიდობას...

მის ერთერთ საინტერესო ლექსში ნამეგებებზე როგორც კეთილგანწყობილებამ არიან ყაბრზე წასული სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები ერთიმეორის მიმართ. მათი პორტრეტების ძერწვისას მსახიობი არა მარტო თვითონ განიხილს სიხარულს, სხვადაც განაცდენინებს. ცდილობს რამდენიმე მონასმით დახატოს სასმობოთ ქვეყნის ამ თუ იმ კუთხის მცხოვრები მისთვის დახასიათებელი თვისებებით, ცდილობს ადამიანებში დაინახოს მხოლოდ კეთილი საწყისი და ამით მაცურებლებს აღადამილოს და გააყვილოშობინოს. მსახიობის ყოველი მოძრაობა, ყოველი ფესტი, ყოველი

სიტყვა გამიზნულია მხიარული, ჯანსაღი სიცილისათვის.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მეგობრობის თემა მრავალი მისურაძის შემოქმედებაში. ერთხელ თამარი პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა მწერალ სიკო ფაშალიშვილთან გაგზავნა ტექსტისათვის. მწერალმა გულისხმობრდა მიიღო ახალგაზრდა მსახიობი და ურჩია:

— „რაც შენ გაღვლებს, რაც გულში გატებს, რისი თქმაც გინდა, შენ თვითონვე სთქვი“.

მას შემდეგ თამარი ხშირად თვითონ ადგენს საკუთარ რეპერტუარს და წერს ტექსტებსაც.

წელს ფილარმონიის საესტრადო ბრიგადამ, რომელშიაც შედიოდა საქართველოს სახალხო არტისტები სასტარტო ბაღაშვილი, ცნობილი საესტრადო მომხერალი მერი მილედტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები — შალვა ღორთქიანიძე და დემურშან ზელოზდავა, თამარ მისურაძე და სხვები, მობირა ჩვენი რესპუბლიკის მრავალი ქალაქი.

თ. მისურაძე სცენაზე გამოხდის თავისი ცნობილი იმიტაციებით. რეპერტუარში აქვს მუსიკალური ფეგეტონი „მისალმებელი“, რომელშიც წარმოვიდგენს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებს. ისინი მიესალმებიან ჩვენს დედაქალაქს თავიანთი მობირისათვის დახასიათებელი დიალექტით, აქენტირით, ფესტიკულოებით და ეს ყოველივე კეთდება იცე მართლად, სრული გარდასახვის, რომ მაცურებლის ცხოველრეაქტივას იწყებს.


ამჟამად თამარ მისურაძე ძალზე დიდ და მნიშვნელოვან თემაზე მუშაობს. იგი ემზადება საკუთარი კამერული კონცერტისათვის. საღამოს პროგრამაში შევა ვიწარს ლექსები შიუკის ფონზე. ეს იქნება ერთერთი შემოქმედებითი ანგარიში. ამავე დროს მსახიობი ემზადება ბალადების საღამოსათვის.

თამარი დიდი გულმოდგინებით ადგენს რეპერტუარს, ხშირად თითქმის უკვე მზად არის რომელიმე ნომერი, მაგრამ კვლავ უბრუნდება, სცელის, ამარტივებს, ხვეწავს და მხოლოდ მაშინ, როდესაც მიადწევს, იპოვებს იმას, რაც სურდა, გაატავს მაცურებელთა სასმეაროზე.

მისი ეს შრომისუნარიანობა და გატაცებული შემოქმედებითი მუშაობა მომავალი წარმატების საწინდარია.

# სომეხი სენაზი განვლილი ცხოვრება

ლამარა ღვინიაშვილი



ნიკოლოზ ღვინიაშვილი

რამდენი მივიწყებული სახელია მოსაგონარი! ბევრი მათგანი ხელოვნებაში ნიჭმა, მოწოდებამ მოიყვანა, ზოგი მემკვიდრეობით მიღებულმა ჩვევებმა, ზოგიც შემთხვევით ეზიარა, მერე კი შეიყვარა და ცხოვრების მიზნად გაიხადა ხელოვნების სამსახური. ბევრმა თვალსაჩინო წეილი შეიტანა ეროვნული კულტურის განვითარებაში — მათ შორის არის თბილისის საოპერო თეატრის მომღერალი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ღვინიაშვილი.


დაიბადა ნ. ღვინიაშვილი 1879 წლის 15 ნოემბერს გორის მაზრის სოფელ საკორინთლოში. წერა-კითხვა სახლში მამამ შესწავლა, დედამ კი სიმღერისა და სიყვარული ჩაუნერგა. მ წლის თბილისში ჩამოიყვანეს და სათავადაზნაურო სკოლაში (რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა) მიიბარეს. გიმნაზიაში მასთან ერთად გამოჩენილი ქართველი მომღერალი ვანო სარა-

გიშვილი სწავლობდა, სიმღერის მასწავლებელმა, ცნობილმა მუსიკოსმა ზაქარია ჩხიკვაძემ იმათათვე შენიშნა მათში თვალსაჩინო მუსიკალური მონაცემები (ვანო — ალტი, ნიკოს — დისანტი) და სასკოლო გუნდში ჩარიცხა. გუნდში უმეტესად საეკლესიო სიმღერებს ვალობდნენ, შაბათ-კვირას კალოუბნის ეკლესიის წირვაში მონაწილეობდნენ.

გიმნაზიაში ნიკოლოზი სპორტმა გაიტაცა, კარგი ფიზიკური მონაცემები ზღეს უწყობდა. რამდენიმე სახეობაში ვარჯიშობდა: ტანვარჯიში, ჭიდაობა, სიმაღლეზე სტომა... გიმნაზიის საუკეთესო სპორტსმენად ითვლებოდა.

სპორტული «გამოცდილება» გერ კიდევ ბავშვობაში ჰქონდა მიღებული. საკორინთოსა და წილკანში საეკლესიო ღღესა-წყალებზე ხალხური ჭიდაობაც იმართებოდა. დონიერ ბიჭუნას ხშირად აჭიდავებდნენ სოღმე თანატოლებთან, ზოგჯერ გაცილებით მასზე უფროსებთანაც კი. ერთხელ ცამეტჯერ უჭიდავია და ცამეტჯერვე გამარჯვებული გამოსულა. შეხვედრები ხშირად კურიოზებით მთავრდებოდა. ერთხელ დამარცხებული მოწინააღმდეგის მამა მივბარა გამარჯვებულ ფალავანს და ზურგში გოხში უთავაზა. ამ საქციელმა მოზომიერა აღშფოთება გამოიწვია. ჭიდაობის მომწყობებმა კი სოფლის სასახელო ყმაწვილი ძიროხით დააჯილდოვეს. «ჯილდო» თვით თავადმა ამოღავარა მიაჩნდა. ეს დიდი პატივი იყო.

1898 წელს, სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ელზავეტოლის კავალერიის სასწავლებელში შევიდა. ორი წლის შემდეგ უკვე სამხედრო სამსახურს შეუდგა. მოწყობილი იქნა ამირთაკვაკასიის სამხედრო ოლქის შტაბში. მაგრამ მუსიკის და თეატრის სიყვარული არ ასვენებდა, შესაფერ მობენტს ელოდა.



იმ დროს თბილისში მოყვარულთა საოპერო კოლექტივი მუშაობდა. იგი ძირითად მუშაობა ორ თეატრს — «ავტალის აუდიტორიას» და ამიერკავკასიის რეინფანსთან არსებულ «ფინზელთა საზოგადოებას» უწევდა მომსახურებას. 1900 წელს ნიკოლოზ ელიოზიშვილი ამ დასში მოვიდა. საოპერო დასის მხატვრული ხელმძღვანელი და დირიჟორი ზაქარია ფალიაშვილი იყო, ქორეოგრაფი — პოლიკარპე ფალიაშვილი, კონცერტმეისტერი — ანტონ ფალიაშვილი და აიზენშტადტი. გუნდი ორმოცე კაცისაგან შედგებოდა. ორკესტრი არ ჰქონდათ, რიოლის თანხლებით მღეროდნენ. მეცადინეობა ფალიაშვილების სახლში მიმდინარეობდა.

ნიკოლოზის დებუბეტი 1900 წლის ოქტომბერში შედგა. ოპერა «ფაუსტში» ვაგნერის პატარა პარტია იმღერა. დიდი სიხარული იყო დამწყები მომღერლისათვის პრისტივის («ალი»), შვედკალევის («ბორის ვოდნოვი») და ფიორლოს («სეიფიდინი დალაქა») პარტიების შესრულება. შემდეგ წელს ქა «ფაუსტში» ვალენტინის პარტია იმღერა.

ოთხი წელი მუშაობდა საოპერო დასში. პარალელურად სახედირო სასაზურსაც ეწეოდა. 1904-5 წწ. რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილეობს. ომიდან ორდღებში დაზარალებული დაბრუნდა და კვლავ საოპერო კოლექტივს მიაშურა. ერთი წლის შემდეგ ზაქარია ფალიაშვილის ხელშეწყობით მოსკოვის კონსერვატორიაში ცნობილი პროფესორის მახუტის ვოკალის კლასში ჩაირიცხა. ცოდნას მოწყურებულმა ნიკოლოზმა პარალელურად მოსკოვის უნივერსიტეტის ოფიციოლუ ფაკულტეტზე სწავლობს.

კონსერვატორიაში ნ. ელიოზიშვილის ძლიერმა დამატყუარმა ბარიტონმა და მუსიკალურობამ ყურადღება მიიპყრო. კონსერვატორიის დირექტორი მ. იპოლიტოვი-ივანოვი თანამეგობრებს ეძახდა და მხრუნელობას არ აკლებდა. შემდეგში ნ. ელიოზიშვილი მადლიერებით იგონებდა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორისა და დირიჟორის ოჯახში გამართულ მუსიკალურ საღამოებს, სადაც იგი იპოლიტოვი-ივანოვის აკომპანემენტის თანხლებით მღეროდა.

1909 წელს ნ. ელიოზიშვილი ათავიერებს მოსკოვის კონსერვატორიასა და უნივერსიტეტს. კონსერვატორიაში გამოსაშვებ გამოცდებს ესწრებოდნენ სამიპერატორო თეატრის თავმჯდომარე, რეჟისორი შაფერი, პეტერბურგის სახალხო სახლის დირექტორი ნ. ფიგნერი და ცნობილი მეცენათი, მსოფლიო კერძო საოპერო დასის ხელმძღვანელი ს. ზიმინი. მეორედღეს ნ. ელიოზიშვილმა ერთდროულად სამივე თეატრის მიწვევა მიიღო.

«ძალიან მინდოდა ზიმინის თეატრში მუშაობა — ივანეს ნიკოლოზი», — რადგან, ჯერ ერთი, იქ უკეთესი სოლისტები იყვნენ, ვიდრე დიდ სამიპერატორო თეატრში და მეორეც, იქ უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ; მაგრამ, სამწუხაროდ, სურვილი არ შემეძრებოდა — მუშაობა დავიწყე პეტერბურგის სახალხო სახლში. სახალხო სახლის დირექტორი ფიგნერი დიდად გაუდევინა პიროვნება იყო. სამიპერატორო თეატრების დირექტორ ტრაიაკოვისთან უფროდ შეათანხმა საკითხი და ჩემი ბედიც გადაწყვიდა — გაემეზაზეურე პეტერბურგს, როგორც ტრაიაკოვსკიც მირჩევდა, პეტერბურგში შეიძლებოდა თავის გამოჩენა და ხელმწიფე იმპერატორის ყურადღების მიქცევაც კი. ასე, რომ ისახებოდა პერსპექტივა მარინის სამიპერატორო თეატრში მოხვედრისა».

პეტერბურგში ჩასულ ქართველ მომღერალს ფიგნერი სიხარულით შეხვდა. ოროთახიანი ბინა უქირავა და ყოველწინარად ხელს უწყობდა. პეტერბურგში ნ. ელიოზიშვილი სამ წელს დარჩა. მონაწილეობდა თეატრის თითქმის ყველა დადგმაში და პრემიერ სარგანსისთან ერთად სასუსხისმცოდნეო რეპერტუარს ინაწილებდა. შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მომღერლებთან: იაკოვლევიან, ტარტაკოვიან, ერ-

შოთან, მოჭეშინთან, კასტროსისთან, ბრონსკაიანთან უყვ. ჰეტერბურგში კარგად აეწყო ქართველი მამობელის ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ ეკრთი ისევ საქართველოსკენ მოუწევდა, ოცნებობდა მშობლიური საოპერო თეატრის სცენაზე გამოვლას, სურდა რუსეთში მიღებოდა ცოდნა და გამოცდილება ერთგულად მუსიკალური კულტურის საკვილოდღედ მოეხმარა. მაგრამ ოცნება ოცნებად რჩებოდა. 1912 წლის თეატრალური სეზონის დასრულების შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა და ზიმინის საოპერო დასში ჩაირიცხა. დაიწყო ნ. ელიოზიშვილის შემოქმედებითი ბოგრაფიის ძალზე საინტერესო და ნაყოფიერი პერიოდი.

თეატრში მიმდინარე რეპერტუარისათვის მსახიობის მიეღობეტი პარტიები უნდა მოეზადებინა. მეცადინეობა ცნობილ ჰაინსტიან მიკლაშევსკისთან და გამოცდილ კონცერტ-მეისტერ მარია ლომოვთან. სპექტაკლებსა და კონცერტებში იგი მონაწილეობდა გამოჩენილ მსახიობებთან ერთად მათ შორის იყვნენ სცენის დიდოსტატები — შალიაბინი, სობინოვი, სმირნოვი, კაჩალოვი, ლეონიძე, აბლიოჩინა, გელცერი და სხვ.

მოსკოვში საინტერესო შეხვედრები ჰქონდა თეატრის გამოჩენილ მადამწვეთან — სუშნათაიშვილი-ივანოვთან, სტინისდაესკისთან, ნენჩიროვი-დარჩენოსთან. ძალზე თბილად იგონება უკვე ხანდაზმული მომღერალი გამოჩენილი დრამატურისა და მოსკოვის მცირე თეატრის უხალხო მსახიობის ალექსანდრე სუშნათაიშვილი ივანოვის განსაკუთრებულ ყურადღებასა და გულისხმიერებას მოსკოვში მცხოვრები ქართველი სტუდენტისადმი. ჰუმანიტარულ ქართველი იყო — ხელგამული და სტუმარიმოყვარე.

ნ. ელიოზიშვილსაც არ მოჰკლებია დიდი თანამეგობრის მზრუნველი ხელი. სწორედ მან გააცნო ახალგაზრდა მომღერალს სტინისდაესკი, ნეიროვი-დარჩენო, მოსკოვი, ლეონიძე, სახლსუკ ზმირა და იწვედა. რამდენჯერმე სუშნათაიშვილთან და აბლიოჩინასთან იწვედა კონცერტებშიც მისი მონაწილეობა, რასაც შემდგომში განსაკუთრებული სიამაყით იხსენებდა. მოსკოვის ქუჩისთან «რამბა ი ძინა», ტეატრი ი ისუსტევი» დაიბეჭდა ელიოზიშვილ-მასლუსის პორტრეტები. მასალსკი მისი ფსევდონიმი იყო, რომელსაც ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში ატარებდა. ეს გვარი თავისი მსოგობის, თავად მასალსკის სხოვნის პატესაცემად აიღო. მეორედ ერთად იბრძოდა რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც მასალსკი სასიკვდილოდ დაიჭრა. ნიკოლოზ ელიოზიშვილს ხელთნებაში უწევდა «მასალსკის» გვარიც ცნობდნენ.

პირველი მოვლელი ომის დროს ნ. ელიოზიშვილი, როგორც ძველი ოფიცერი, ჯარში გაიწვიეს. ბრძოლაში გამორჩეული მემომარი გენერალ ბრუსილოვის წარუდგინეს. გენერალს ივანოვი მოუვიდა აზოვანი ვაჭკივი და აღიტირებდა აიყვანა. გენერალთან დაპყ მიფის მთავრობის დამხმარე.

1927 წელს გამოჩენილი ქართველი რეჟისორი ალექსანდრე წუწუნიას კინოფილმ «ჯანყის» (ასე უწოდებდნენ მაშინ ფილმს «ჯანყი გურიაში») გადაღებას შეუდგა. გენერალ ბრუსილოვის აღიტირების ენზოდურ როლში ნიკოლოზ ელიოზიშვილი მიიწვიდა. მასზე უკეთესად ახა სხვა ვინ შესარულებდა ამ როლს? ვადაღების დროს აღ. წუწუნავამ; როგორც ნიკოლოზ ივანოვის, მეტებე რთული მისია დაეკისრა.

გადაღებები ოზურგეთში (მხასრამე) ხდებოდა. გამოყოფილი იყო თავად გურული მსმართული მისლი, სადაც ბრუსილოვი ცხოვრობდა ცოტა მანათ ერთად. «ჩემი ამოცანა შემდეგში მდგომარეობა: რამე მესამე საათოვის კვედზე ზოხეთი უნდა აესულაყობა, ფანჯრიდან გადაესულაყობა ბრუსილოვის ცოლის ოთახში, რამდენიმე ხანი დამყვი იქ და იმევე გზით უკან დაბრუნებულაყობა... ავეცილო მესამე საათოულზე და გასაბ რაქსიოლის თანაშემწის თარხნიშვილის ხმა «ყურადღება, ვადაღება!».

გადაღება დაიწყო. ხელზე მსხვილი თოკი მქონდა მობმული. ქვევით ოციოდ კაცს გაჭიმული ბრუნები ევხრა. ყოველ შემთხვევისათვის თუ კვდეს მოეწყდებოდა, ბრუნებზე უნდა დაეცემებოდა. დრო ნელა გადიოდა. ყველა დაპატიმრებული, ქალეხი კივილი ძლიერ იმაგრებდნენ, მამაკაცები შიშით ადევნებდნენ თვალს თითოეულ ჩემს ნახევს. რომელი მცვ ენახობდი, ასეთი სახითაო ტრუკის გადაღებაზე გრძელ დავთანხმე, მაგრამ სინანული გვიან იყო. დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა. ის იყო გადავხტი ოთახში, სული მოთითქი და კვლავ შემომესმა თანახმობის «აგსმანაწყობელი» ხმა «გადაღება დაიწყო!» მე ახლა იგივე გზა უკან უნდა ვაგველო. კვდლის ავტორებს ჩამბლაუჭებდა შვიდობით დავსარულზე ჩემი სახითაო ტრუნე.

სამწუხაროდ, ფილმის განსწავლეს კომისიამ გარკვეული მოსაზრებით ამოიღო ეს ეპიზოდი.

ასე დადიოდა და დამთავრდა ნიკოლოზ ელიოზიშვილის მოღვაწეობა კინოში.

6. ელიოზიშვილის მოღონებებში ბევრი საინტერესო ფაქტი და ცნობა მოცემული სახელოვან მწედართმთავარზე, სამხელეო საქმის საუკეთესო მცოდნე გენერალ ბრუსილოვის პირიქეებასა და მის როლზე პირველ მოსოფლიო ომის მსვლელობაში. ბრუსილოვი ვოკალური ხელოვნების დიდი თავყანისმცოდნე ყოფილა; მისი ინტელექტით ეწყობოდა კონცერტები დაჭრილი მეომრების დასამარებალად. კონცერტების ორგანიზება ევალებოდა 6. ელიოზიშვილს. ისიც ენერგიულად მუშაობდა, თვითონაც მონაწილეობდა და ხშირად მსახიობებს კვიტიდან ეპატეჭებოდა. იმამც კი ვერ მოწყვეტა საყვარელ საქმეს — ფორნტუცე ვსასურებოდა ხელოვნებას, ეს უმსუბუქებად სცენას მოწყვეტილი მომღერლებს გულისტყვილს. გიორგის ჯვრის კავალერი როტმისტრი ელიოზიშვილი რამდენჯერმე ვარშავაშიც მიიწვიეს. «ტოლკასა» და «დემონში» უმღერია და კონცერტებაც გაუძარბავს.

1917 წელს თეატრს დაუბრუნდა. 1920 წლამდე ლენინგრადში, მოსკოვში, კიევიში, ქიტომირში, კამენე-პოდოლსკში, სარატოვში, ყაზანში, ხარკოვში, რიაზანსა და ვინიცაში მოღვაწეობდა.

1919 წელს საქართველოს ფილარმონიის მიწვევით თბილისში ჩამოვიდა. საოპერო დასში ჩაირიკა. ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე მ. კვალაშვილი იფრენეს: «მან სწორედ სულელს მოუსწრო: თეატრის დასი მომღერალთა დიდ ნაელებას განიხილავდა და 6. ელიოზიშვილი თავდავიწყებით შეუდგა მუშაობას»<sup>1</sup>.

მამან ოპერის თეატრის დირექტორი და მსატრული ხელმძღვანელი რუწუნავა იყო. მან გულთბილად მიიღო სამშობლოში დაბრუნებული მრავალჯერგადმოდო მომღერალი; მამანვე ჩააბა მიმდინარე რეპერტურაში და უკვე გამოცდილმა მომღერალმა თვალსაჩინო ვოკალურ-სცენურ შესვინა ქართულ საოპერო ხელოვნებაში. მან მაყურებელთა დამგობარბა სიყვარული დაიმსხვრა, წლების მანძილზე ვანო სარაჯიშვილის, სანდრო ინაშვილისა და სხვა ცნობილი მომღერლების გვერდით მღერის.

განსაკუთრებული ვატეციებით მღერის მურმანს («აქსლადიმ და ვთერის»), აბდულა («შოთა რუსთაველი»), თავად ლევანს («ქეთი და კოტე»).

იმ ხანებში თბილისში პირველად დაიდგა იოლიოტიკოვიანოვის ოპერა «დალამტი», ერეკლეს პარტის ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა, ოთარბეკს — 6. ელიოზიშვილი. აღ. რუწუნავავე გადაეკანა მომღერალი და უხარბა: «ვიცოდ, რომ კარგად მღერებდი, მაგრამ ასე კარგად თუ ითამაშებდი, არ მეგონებოდა. მსახიობის წარმატებას ხელს უწყობდა მუსიკალობა და მომხიბველი სცენური ვარგებლობა».

6. ელიოზიშვილი «დალის» პირველი დადგმის მონაწილეა,

«დარეჯან ციხეობის» პირველ დადგმაში გონას პარტია იმღერა, ერთ კურობულ შემთხვევას იხსენებს მოგონებებში ნიკოლოზი 1922 წელს პარტის XI ყრობობას დასწინადად ოპერის მსატრული პარტია «აქსლადიმ და ვთერის» მიდლოდა. აქსლადიმს მღერობდა — ვანო სარაჯიშვილი, მურმანს — 6. ელიოზიშვილი. პირველი პქმის ბოლის ვანო ფილარე დუეტს ასრულებდა ვთერის თან, რის შემდეგ ხანგალო უნდა გადაეცა სავარდენი ქალსათვის. აბაუხის დროს ჩემსკენ შემოტრიალდა და ძლიერ ვასაკონანდა ჩამოლაბარავა: «დაილოვბ, ხანგალო ჩემს საპირფარეოში დამჩნა მაგადახე». დუეტის ბოლომდე ვთერის რამდენიმე ფრაზა ქმინდა წარმოსათქმელი, უცხვ ვავითამაშე ახალი მისხანსცენა, ვახსენებ კულისგის იქით და მაყურებლის ყურადღების მიმსატყველად ერთ წერტილს დაქინებულად მისრა მივაპარა, თითქოს შეგნებდნე ორემი, რახვეც მე და უფლისწული ვნადრობდი. თანდამოპარეკებულ სცენიდან ფესხარეფით ვავიდე, იქ კი თვალისდასამამებაში შევირბინე ვანო საპირფარეოში, დავეტაცე ვთერს ხანგალო და რამდენიმე სეკუნდებ კვლავ სცენაზე ვიყავ, ხანგალო გადაევი აბაქსლოში, მანაც დროლოდა, დუეტის ბოლის ვაუწოდ ვთერს. ვანო ძლიერ მადლოერი დამჩნა, მკაყოფილმა მივე დამეს ვანსმუბ მივაეწვივა, რომელსაც ესწრებოდა ოპერის ავტორი და სქეტიკალის დირექტორი ზაქარია ფალიაშვილი».

1930—31 წლებში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშათა კავშირების დავალებით 6. ელიოზიშვილმა საკონცერტო ბრტავა ჩამოაყალიბა, რომელმაც შეიღობდნენ: თავად 6. ელიოზიშვილი, აბაზაძე, ქვიციანი, დვიციანი, ჭუმბურიანი და კლასნოვა. ბრტავა მომსახურეობას უწევდა საქართველოს ყველა რაიონს, სვანეთსაც კი. ხშირად გზებისა და ტრანსპორტის უქონლობის გამო ათეულ კილომეტრებს ფეხით გადაიოდნენ და სცენების მიყრუებულ სოფლებში ქართული მუსიკის თვალსაჩინო ნიმუშებს ასრულებდნენ. ბრტავის მუშაობა საოპერო სცენის დახურვას შემდეგ უფრო აქტიურდებოდა.

1921—44 წლებში ელიოზიშვილი აქტიურად მონაწილეობდა წითელი არმიის კულტურულ საქმეში მომსახურეობაში. მას ათასზე მეტ უფასო კონცერტში მიუღია მონაწილეობა. ვასელოთი კონცერტებში ზოგჯერ ზაქარია ფალიაშვილიც მონაწილეობდა.

6. ელიოზიშვილი 1937 წ. მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი დეკადის მონაწილეა. 1938 წელს თბილისის ოპერის თეატრის კოლექტივთან ერთად საეასტრული ლენინგრადს გაემგზავრა.

ამ დროისთვისათა წარმატებაში მასაც მიუძღვის წყვლილი. შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს 6. ელიოზიშვილს ცნობილ მომღერალთან ლეონ ისეციასთან. თბილად იხსენებს 1923 წელს ერევანში მოწყობილ ვასტრულობას.

ნაყოფიერი იყო 6. ელიოზიშვილის მოღვაწეობა. მან სხვადასხვა ქალქის საოპერო სცენაზე შესრულდა ბარტოტის 60-მდე პარტია დასავლეთ ევროპის, რუს და ქართველ კომპოზიტორთა ოპერებში.


წარმატებით მღეროდა ზ. ფალიაშვილის, როსინის, ჩერკის, რამსე-კორსაკოვის, რუბინშტეინის, ბორდინის, ვიკოვსკის ბიხუსა და სხვა კომპოზიტორთა ოპერებში. ქართველ საბჭოთა კომპოზიტორთა ოპერების მონაწილე იყო.

იმდროედ დიდი იყო სიყვარული თეატრისადმი, რომ 60 წელს გადაცილებული 6. ელიოზიშვილი კვლავ სცენაზე გამოდიოდა ოპერებზე თვითონ წერს, — მღერის მიორეზარისძესთან სახასიათო პარტებზე, მაგრამ თეატრის მიანც ვერ ელევა.


გარდაიცვალა 6. ელიოზიშვილი ღრმად მოხუცებული 1956 წლის დეკემბერში.

საბჭოთა მთავრობამ დაფასა მსახიობის ღვაწლი ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებაში და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა.

<sup>1</sup> მ. კვალაშვილი. «ქართული საოპერო ხელოვნების მოღვაწეები» (მოკლებები მთავრ. ვინც ჩვეს შორის აღარ არის) ვურხალი საბჭოთა ხელოვნება, 1958 წ. № 6.



თბილისის მუსიკალური კომპლექსის თეატრის უკანა ფასადი.



ფილარმონიის საპროტო თეატრი.

სამხმდრო მოსამსახურის ვაჟიშვილს, ლევან ალექსანდრეს ძე ორახელაშვილს შემთხვევით არ აურჩევია მშენებლის საპატიო პრემია. ინჟინრობა მისი სიჭაბუკის ოცნება იყო თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი პრაქტიკის დროს დიდი გატაცებით ეუფლებოდა სადურგლო, საკალატოზო, არმატურისა და მეტენტონის საქმეს, მზარში ედგა გამოცდილ ხელოსნებს და მათთან ერთად ასრულებდა მძიმესა და რთულ სამუშაოს, თუმცა მას, როგორც სტუდენტ-პრაქტიკანტს ფიზიკურად მუშაობა არ ევალდებოდა. მაგრამ შრომისმოყვარე და ენერგიულ ახალგაზრდას, ყველაფრის ცოდნა სურდა. ის დღესაც სიამაყის და სიამოვნების გრძნობით იგონებს თბილისის დინამოს სტადიონზე, ბათუმის სასტუმრო „ინტურისტის“ და მანქანათმშენებლობის

ქარხნის მშენებლობაზე მუშაობის პერიოდს, სადაც განვლო დიდი სკოლა უმცროსი ათისთავიდან, ცალკეული ობიექტის სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობამდე. ალბათ პრაქტიკული მუშაობით მიღებული ცოდნაც დაეხმარა მას სალიბლომო შრომის „ქარგზე“ დაცვაში. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ლევან ორახელაშვილი დანიშნეს საქართველოს მარმარილოს ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსად. ამ დროს ღრმა-ღელეში ახალი ამეწებული იყო მარმარილოს ქარხანა, რომლის საიარკველიც დაჯდა, ყამირის უვარგისობის გამო, ქარხანას მოელოდა საფრთხე. გამოცდილმა ინჟინრებმა, რომლებიც ლევანის მისვლამდე მუშაობდნენ იქ, თავი ვერ გაართვეს ქარხნის შვინობის ავარიული მდგომარეობის ლიკვიდაციას და სამუ-

# ხელოვნების მოაქაბე მუხენაბელი



ლევან მუხენაბელი.

## კონა მიქაძე

შო დასტოვეს. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარმა გიორგი სტურუამ, როდესაც გაიგო, რომ ახალბედა ინჟინერი ლევან ორახელაშვილი კისრულობდა ქარხნის საძირკვლის ამოშენებას, ირონიულად გაიცინა და დაეკვივით დაულოცა გზა: „ხუთმა წუნზე გამოცდილმა ინჟინერმა წლები მანძილზე კერაფერი მოუხერხა ამ საქმეს, სცადე, იქნებ, შენ გამოგივიდეს რამე“. ამ სიტყვებმა კიდევაც წახალისეს და კიდევაც დააღონეს ლევანი.

ეს იყო პირველი დამოუკიდებელი სამუშაო ახალგაზრდა ინჟინრისათვის, პირველი სამასხუნისმგებლო დავალება, აქ უნდა გამოჩინა მას თავისი ცოდნა, გაემდიდრებინა პრაქტიკული გამოცდილება. საჭირო დოკუმენტაციის შეგროვების შემდეგ, ურთულეს პირობებში, როცა ქარხნის ყველა აგრეგატი მუშაობდა, უსარმაზარი


შენიშნის დამჯდარი და დამზარალი კედლების ქვეშ — ექვსი მეტრის სიღრმეზე შენობის მთელ პერიმეტრზე წარმოებდა ტექნიკურად ძალზე რთული და ფიზიკურად უმძიმესი სამუშაოები. ორ თვეში აღსდგა ქარხნის საძირკველი, თუკი შეიძლება ნაგვისა და ღორღის გროვანზე დადგმულ „საძირკველს“ საძირკველი ეწოდოს. და მის მაგივრად ამოშენდა ბეტონის მტკიცე ფუძე. ქარხანა გადარჩა დანგრევას. ამუშავდა ახალი საპროექტო სიმძლავრით და უფრო დიდი რაოდენობით მიაწოდა ქართული მარმარილო მისკოვის შეტროპოლიტენის მწებლობას.

გარდა იმისა, რომ სამუშაო შესრულდა დასაჯე ადრე და მაღალ დონეზე, დაიზოგა ერთი რიზონა ცემენტის და ბეჭის სამშენებლო მასალა. დავალების ასეთი წარმატებით შესრულებისათვის ქალაქის საწარმოთა უფროსების გაერთიანებულ თათბირზე, გიორგი სტურუსთან მიიწვიეს ლევან ორახელაშვილიც, უსარმაზარ დარბაზში, გამოცდილ და ხანდაზმულ ინჟინრებს შორის, ლევანი თავს უხერხულად გრძნობდა და ღელავდა. მაგრამ რაოდენ დიდი იყო მისი სისარული, როდესაც მკაცრმა და სამართლიანმა სახალხო კომისარმა საჯაროდ გააცხადა ის ინჟინრები, რომელთაც წლების განმავლობაში თავი ვერ გაართვის ქარხნის ავარიული მდგომარეობის ლიკვიდაციას. გიორგი სტურუამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ეს ინჟინრები ქარხნის გაჩერების შემთხვევაშიც კი თავს იკავებდნენ საძირკვლის ხელახალი ამოშენებისაგან, ახალგაზრდა ინჟინრმა კი, მისი სიტყვები რომ გაევიწიოთო, „საოცარი გამბედაობა გამოიჩინა და სასწაულები ჩაიდინა“.

პირველი დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის ბრძანებით გამოცხადებულმა მადლობამ, კიდევ უფრო წაასლისა და აღაფრთოვანა ლევანი.

ორ წელზე მეტხანს იმუშავა ლ. ორახელაშვილმა მარმარილოს ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსად, ვინ მოთვლის ამ დროის მანძილზე ზემდგომი ორგანოების რამდენი როული და საპასუხისმგებლო დავალება შესრულა. მოსკოვის მეტროს მშენებლობაში სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველოსაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი. იმ წლებში საჭირო იყო სალიეთის წითელი დეკორატიული მარმარილოს მიწოდება. ამისათვის ჭიათურა-შორაპნის გადასარბნეზე, სადგურ სალიეთთან უნდა მოწყობილიყო 250 გრამი მეტრის რკინიგზის ჩიხი, გადასარბნის ერთ მხარეს მთები აღმართულიყო, მეორე მხარეს კი მდინარე ყვირილა მიედინებოდა, მისაღობო გზა არსადაც იყო. ჩიხის მოწყობა უშუალოდ რკინიგზულმა ვეალებოდათ, მაგრამ საქმე რომ არ შეფერხებულყო, მისი აშენება ლევან ორახელაშვილმა ითავა და შესარულა კიდევ მოსკოვის მეტროს მშენებლებმა დროზე მიიღეს წითელი დეკორატიული მარმარილო. ამისათვის საქართველოს მარმარილოს ტრესტმა და პირადად ლევან ორახელაშვილმა ზემდგომი ორგანოების მადლობა დაიმსახურა.

მცხეთის კერამიკული ქარხანა.



დიდი სამამული ომის წლებში ლევან ორახელაშვილი მუშაობდა სხვადასხვა სადარბოზოში, ააშენა რამდენიმე სამაჭრო, რომელიც თავდაცვის საქმისათვის იყო განკუთვნილი, ააგო ბაზისი და თამბაქოს ფაბრიკები.

1944—1947 წლებში საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს მთავარ ინჟინრად მუშაობის დროს ლევან ორახელაშვილმა მნიშვნელოვანი როლი შესრულა ომისაგან მოშლილი სავაჭრო ქსოლის აღდგენისა და რეკონსტრუქციის საქმეში.

1948 წელს საზოგადოებრივი კვების ტრესტის მთავარ ინჟინრად მუშაობის დროს მისი ხელმძღვანელობით მდინარე მტკვარზე აშენდა ღამაზე რესტორანი „მტკვარი“. ვინ იყოს რამდენჯერ ადიდებდა ერთი შეხედვით მშენი მდინარე მას შემდეგ, რამდენი ხილი, მის ნაპირს გაშესდელი რამდენი სახლი დააწყვირა და წაუკვია, მაგრამ „მტკვარი“ ყოველთვის მტკიცედ იდგა, სტიქიის ყოველ შემოტევას უმკლავებებოდა და დღესაც თბილისელებისათვის სასურველ და სასიამოვნო გასართობ ადგილად ითვლება.

1949 წლიდან ლევან ორახელაშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს კინემატოგრაფიის სამინისტროში, კინოფიკაციის სამმართველოს უფროს ინჟინრად. ამის შემდეგ იგი ავეჯილინება ქართული, კულტურის, ქართული ხელოვნებისათვის თავდადებულ მოღვაწედ.

1949—52 წლები, თუ შეიძლება ითქვას, მისთვის ყველაზე „დაძაბული“ წლები იყო. ამ წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ლევანის უშუალო ხელმძღვანელობით და ინიციატივით ათობით საზამთრო და საზაფხულო კინოფიკატორი აშენდა, მთლიანი რეკონსტრუქცია გაუკეთდა ბევრ ძველ შენობას.

წალენჯიხში, ხოშში და საჩხერეში ადგილობრივი ორგანოების დახმარებით ლევან ორახელაშვილმა ტიპური პროექტით ააშენა 350 ადგილიანი საზამთრო კინოფიკატრები. ამ რაიონის შრომელები არასოდეს დაივიწყებენ ენთუზიასტ ინჟინერს, რომელიც მზრუნველად დასტრიალებდა თავს თბილისიდან საგანგებოდ ჩაყვანილ მშენებელ-სპეციალისტებს. ინჟინერი მათთან ერთად ინაწილებდა მშენებლობის სირთულეს, სირთულეები და დაბრაკოლებები კი ცოტა როდი იყო.

შერჩევითი პროექტებით ააშენა აგრეთვე იმ წლებში ინჟინერმა ორახელაშვილმა საზაფხულო კინოფიკატრები ზუგდიდში, მასარბაში, ცხაკაიში, ქუთაისში, ახალციხეში, გურჯაანში, სამტრედიასში და სხვა ქალაქებში. ვინ მოთვლის რამდენი მადლობა მიუღია მას ამ რაიონების პარტიული ხელმძღვანელობისაგან, რამდენი ქება-დიდება მოუსმენია შრომელებისაგან.

თბილისში კი მისი უშუალო ხელმძღვანელობით არის აშენებული საზაფხულო და საზამთრო კინოფიკატრები „სპორტი“, „ისანი“, 26 კომისრების სახელობის კინოფიკატორი, „კოლხიდა“, „საქართველო“ და სხვა მრავალი.

ამ ათიოდე წლის წინ თბილისის კინოფიკატრებში ვიწრო ვერანები შეეკვალა ფართო ვერანებმა. ახალ ფართო ვერანების მოწყობასა და შესაფერისი აპარატურის დადგმა-დამონტაჟებამში დიდი ღვაწლი მიუძღვის ლევან ორახელაშვილს, ის იმ პერიოდში კინოშემკვეთებელი სახელსისის დირექტორად მუშაობდა.

1956 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს ბრძანებით ჩამოყალიბდა სარემონტო კანტორა. კანტორა უნდა მომსახურებოდა კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ ყველა დაწესებულებას. ამ კანტორის სახით, ქართული კულტურის კერებს, თეატრებს, კინოფიკატრებს, კულტურის სახლებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, მუსიკალურ სასწავლებლებს და ხელოვნების სხვა დაწესებულებებს გამოუჩნდა ნამდვილი პატრონი და გულშემმატიკარი.

კანტორის დაარსებისთანავე მის უფროსად ლევან ორახელაშვილი დანიშნეს, უკეთესი კანდიდატურა არ ყოფილა. კულტურის სამინისტრო, ქართველი თეატრალური საზოგადოება მას უკვე იცნობდა, როგორც ერთ-ერთ თაისან ორგანიზატორს.

პირველი ნათლობა სარემონტო კანტორამ 1957 წელს მიიღო, როდესაც ცნინვალში, კოსტა ხეთაგურის სახელობის დრამატული თეატრის მთლიანი რეკონსტრუქცია ჩატარა. აღნიშნულ თეატრში



მოლიანად გადაკვიდა მაყურებელთა დარბაზი, გაუართვდა სცენა და შეიკვლია მის მექანიზაჟი, მიოწყო სცენის ჯიბები და მსახიობთა ოთახში, მხატვრულად გაფორმა დეკორაციები. თეატრის რეჟისორები და რეჟისორები უმოკლეს ვადასტურებენ ხარისხს.

დღიურიდ იზრდებოდა სარემონტო კანტორის ასპარეზი და სამუშაოთა ხასიათი. გარდა იმისა, რომ ის ემსახურება საქართველოს მსახიობთა ყველა თეატრსა და კულტურის სახლს, „საპროფიბო“ უბანი აქვს ქალაქ სოხუმში. ეს უბანი მოლიანად ემსახურება აფხაზეთის ასპარეზის კულტურის სამინისტროს ობიექტებს. გასულ წელს ზემდგომ ორგანოების დადგენილებით სარემონტო კანტორა გადაკვიდა თეატრული-სარემონტო და სარემონტო სამშენებლო სამმართველო. სამმართველო ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმო დაგეგმვას გეგმებს. აქვს გეგმიური და ზემდგომური მოგებები.

მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და კომპლექტური სამმართველოს მონოლიან აქვს აღებული სცენის მექანიზაჟის და სასცენო ელექტრო გაყვანილობის მოწყობის. ცნობილია, რომ თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქების ძველ აშენებულ თეატრებში სცენის მექანიზაჟი და სასცენო განათება ახალ დონეზე იყო, გვერდ აკმაყოფილებდა დღევანდელი მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნებს და სექტორების ხასიათს. სამმართველო მოლიანად ვინაადა სცენის მექანიზაჟი მარჯანიშვილის, ოპერის, ზუგდიდის თეატრებში, რუსთავის, ჭიათურის კულტურის სახლებში, ხოლო ახლადშენებულ გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული თეატრში, სცენის მექანიზაჟი მას დაგვალა, როგორც ამ საქმის აღიარებულ სპეციალიზებულ ორგანიზაციას.

სამმართველოს უფროსს ლევან ორახელაშვილს კაბინეტი იმეიანად ნახავთ. ის ან რაიონშია, სადაც უშუალოდ ხელმძღვანელობს ქართული კულტურის კერების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საქმეს, ან რომელიმე ობიექტზე, ხშირად კი ნაფიქსირი საქმიან ჯგუფში შეხვდებით. აქ სადურგლო, ელექტრომექანიკურ და სხვა სამმართველო მზადდება სხვადასხვა დეტალი და მექანიზმი.

ლორ ორახელაშვილი სამმართველოს უფროსია, მარგამ დღევანდელ სამშენებლო ობიექტებზე. „მას მხოლოდ დიდი ხანი ადრიაან და გვიან საღამოს ნახათ“ — მიასპაზ მდივანმა ქალმა. შეუ ატოვებდით. ერთ დღეს მართლაც დილადრინადად ვესტუმრე სამმართველოს. მაღალი სადნობიანი სახის თამაშეფრცხლილი მამაკაცი ჯგუფი დაკვირვებით ათვალთვობდა ახალ სატვირთო მანქანას.

— მე უნდა დავწერო წერილი თქვენზე, როგორც ქართული თეატრული დაწესებულებების მშენებელზე, მაიამეო თქვენი მუშაობის შესახებ, — ვუთხარი მე.

მან გაიციინა შემომხედა და კაბინეტში შემოდგა. ამ პატარა მართკუთხა ოთახს ვერც ვუწოდებდი კაბინეტს, სამშენებლო სამმართველოს უფროსის საკუთარი კომფორტისათვის არ უზრუნია. ჩემს განმეორებით თხოვნაზე ის უხეხრებულად შეიმშენა, და ვიგრძინე, ეს ადამიანი, ჩვეული არ იყო თავის თავზე ლაპარაკი.

გადაწყვიტე როგორც მშენებლები იტყვიან ხოლმე „ობიექტებზე“ წაესტრიავი და პირადად მენახა ყველაფერი.

პუბლიკის პროსპექტზე ღამაზადა აღმართული თანამედროვე სტილიზირებული მუსკომედის თეატრის ახალი შენობა. რამდენიმე წლის წინ აქ ძველი ქიხნახები დგა, მათ გვერდით კი ულანაბო, გაუთბობი და მოუხერხებელი თეატრი, რომლის სცენა შემოქმედებითი უნარის გამოა-გამოჩინეს საუკუნეებს არ აძლევდა მსახიობებს.

1964 წელს საქართველოს რესპუბლიკური ხელმძღვანელობის თაოსნობით თეატრალურ-სამონტაჟო და სარემონტო სამმართველო სამმართველო დაიწყო არქიტექტორების ოთარ ლთაინიშვილის და თეიმურაზ მაჭარაშვილის პროექტის განხორციელება.

ორ წელზე ნაკლებ დროში სამმართველოს პატარა კაბინეტებში კულტურის სამინისტროსა და ზემდგომ ორგანოების დახმარებით ააგო თითქმის მოლიანად ახალი თეატრი. შეიძლება ითქვას, რომ

თანამედროვე სტილის ასეთი თეატრი ბევრი არაა საბჭოთა კავშირში.

თეატრს ორი შესასვლელი აქვს. მთავარ შესასვლელთან თეატრის მოტაკებუ მოზაიკით მოპირკეთებული აუზი. მიწის კარებით შედგინილ და ვესტიბულში, რომელიც თავის ორიგინალური გაფორმებით, მხსავდეს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას პტერის. ვესტიბულის ცენტრში დგას ორი მარმარლის სვეტი. აუსტიკური თამაშობით მოპირკეთებული ჭერი, თავისი განათების არმატურით ვარსკვლავებით გააკვანამებული ცის შიშველივარსკვლავების ტიპის, იატაკი დაფარულია ღამაში პლასტიკებით, რომელიც ბეტონის ფილებზე გადაკრული. თეთრი მარმარლის ფილებზე დაფარული კედელი, ძველი თეატრის არსებობის ერთადერთი უტყვი მოწმეა. ორიგინალურად არის გაფორმებული ბუფეტი და გასასვლელი. რადიატორები ისეა განლაგებული, რომ წარმოდგენს გამყვებს ვესტიბულსა და ბუფეტში შირის, ხოლო ვიკრავი, რომელიც გასასვლელს და მისასვლელს ჭკოფს გათავისუფლებული ადგილობრივი ტელეგადამცემისათვის. ამ ვიკრავში ჩადგმული ტელევიზორი სპექტაკულ დაგვიანებით მოსული მაყურებელი მომედების დამთავრებამდე ნახავს სატელევიზიო გადაცემას სიმყინდა.

მხრებამოლო მაყურებელთა დარბაზში ძველი ვენური სკამების მაგივრად დგას მოხერხებული რბილი სავარძლები. ამგვამდ თეატრში 300 ადგილი მთავია, ძველთან შედარებით. იატაკზე რბილი ხალიჩადაფარული, მის მოპირკეთებულ კედლებში, ჩვეულებრივი ფიფილით დაწვლილი ჭერი დარბაზში კარგ აკუსტიკას უწყობს ხელს. ორჯერ უფრო ვართია სცენა, ოც მეტრს აღწევს მისი სიმაღლე. სცენის თანამედროვე მექანიზაჟი და განათება, მსახიობთა ოთახები, თეატრს ხდის სრულყოფილს.


თეატრი ჩატარებული ყველა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაო სახელმწიფო მიმღებმა კომისიამ ფრიადაზე შეაფასა. ეს კი ჩვენს დროში იშვიათი მოვლენაა.

სუბურის გახსნას უამარავ მაყურებლის გარდა ესწრებოდნენ ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლები, თბილისის თეატრალური საზოგადოება. მათ მაღალი მუშავება მიესცა მშენებლების შემოქმედებას. კულტურის სამინისტრომ, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ახალი თეატრის კოლექტივმა მშენებლებს შეხვედრა მოუწყვეს. სამმართველოს უფროსს ლევან ორახელაშვილი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშა ხელისნები დაჯილდოვდნენ კულტურის სამინისტროს სიგელით და გამოცხადდა ბრძანებით მაღლობა.

მშენებლებთან შეხვედრის დღეს თეატრის კოლექტივმა მისწყო დიდი კონცერტი. ეს კონცერტი გადასცეს ტელევიზიით, კინოსტუდიამ კი ვირზე აღებდა. იმ დღის საპატრიოტო სტუმრები მშენებლები ახსენდნენ. ისინი გრძობდნენ ქართული თეატრის მესვეურთა აღტყვებას, ხედავდნენ თეატრის მსახიობთა ბუნებრივ სახეებს და გული სიამაყით ვესვებოდათ, რომ შობდა დუნაუსაბა.

თეატრის დირექტორმა ხელგონების დამასხურებულმა მოღვაწემ კი. შაინტი ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „სიამოვნებით უნდა გითხრობო, რომ სამართაფილო დიდ და მნიშვნელოვან შრომას ეწყვეს სავრთოდ ქართული თეატრის საკეთილდღეოდ. ჩვენი თეატრის აშენება კი მე მათი მუშაობის ასპარეზზე ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. თეატრი აშენდა ძალზე მოკლე დროში და ოპერატიულად მშენებლების ნამუშევარი მიმღებმა კომისიამ „ფრიადაზე“ შეაფასა. ჩვენ ვამაყობთ თეატრის, შეიძლება ითქვას, უნიკალური შენობით, და ყოველთვის მაღლობის გრძნობით ვიხსენებთ სამმართველოს მიერ კოლექტის, მის უფროსს ლევან ორახელაშვილს, და სამუშაოს მწარმოებელ ინჟინერ გვიგ გუცირობეს. სამმართველოს არც თეატრის აშენების შემდეგ მოკლდა ჩვენთვის თავისი მხრანული ხელი. გასულ წელს თეატრს მიმღებ ახალი სადგურიაკი შენობა, მთავარ კორპუსს დაამატდა ბალკის სარეპტიტივი დარბაზი. სამმართველო ჩვენი გაპირვების ტალკვისია.“

სახელმწიფო ფილარმონიის სამაზირო თეატრი არქიტექტორ



სერგო მეგრელიშვილის პროექტით წარმოადგენს პატარა, მაგრამ მსუბუქ სტილში აშენებულ შენობას. მაცურებელთა დარბაზის კედლები მოპირკეთებულია მავარი ჯიშის ხით, ჭერი ორიგინალურად არის გაფორმებული სვეტილურად დამაუფლებლ ტექნიკური შიფრის ფილებით, შესასვლელი, ფიფი, საღარის ვესტიბული, გასახდელი, გაკეთებულია ორიგინალურად. მსუბუქ სტილში, განიერი მინის ვიტრაჟებით, იატაკი მოპირკეთებულია ფლითიანი თეთრი მარმარილოთი. სახელმწიფო კომისია აღნიშნული თეატრის მილი „აკრფუ“.

თეატრის თეატრის მილი 1934 წელს ჩამოყალიბდა. მაგრამ თეატრს დიდ ხანს არ ჰქონდა სრულყოფილი. ორბები იზიდავს, რომ ნორმალურ ვითარებაში მოეზადებინა სპექტაკლები. და ან 33 წლის შემდეგ თეატრს გადაეცა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისი ნაგებობა, რეკონსტრუირებული არქიტექტორ სერგო მეგრელიშვილის პროექტითა მიხედვით.

მშენებლებმა წარმატებით შეასრულეს ყველა სამუშაო, მუშაობის სხედელობაში მიიღეს ჩვენს ქვეყნის სხვა თეატრების სიასი. ამაყად შენობა პირველია საქმითა კავშირში, რომელიც სპეციალურად ამ სპეციფიკის თეატრისთვის აიგო. ამ შენობის დიდიფორმების თავისი მოწონება გამოთქვას ობრაზოვლის თეატრის მსახიობებმა, მათი ნაამბობით აღტაცებულმა ობრაზოვმა კი თეატრის დირექტორს გამოუტანა მოლოცვის დეკამა, რომელშიც მოსკოვლი პატარებისთვისაც იხატა ასეთი თეატრი.

თეატრის სასტუმროს აკმაყოფილებს შემოქმედებითი კოლექტივის მოთხოვნილება, გათვალისწინებულია ტექნიკური კონსტრუქციის, მშენებლების სასახელი დიდ იტყვას, რომ მათ ადვილად გაართვას თავი თეატრის სცენის მოწყობის სირთულეს. სცენა მთლიანად მქანისირებულია და საშუალებას იძლევა ერთდროულად დაიგვას რამდენიმე თეატრი. შესანიშნავად არის მოვარებული აკუსტიკისა და განათების საკითხი. მაცურებელთა დარბაზი გაკეთებულია ამფითეატრის სისით, დიდმულია დამალი, მიყრჩევილი სკამები, რაც ითვალისწინებს მოზარდის ასაკს. ახლებურად

არის გადაწყვეტილი ფიფის, საბილითი ვესტიბული, გასახდელის, შრობითა მოსახდელის და სხვა სათავსოების მსატრული გაფორმება.

მცხეთის დასაწყისში, მტკვრის სანაპიროზე, მჭარას შორიდანვე მზერას მოსტყავს ლამაზი არქიტექტურული საწარმო კორპუსი. ეს არის საქართველოს სამხატვრო აკადემიისთვის აშენებული კერამიკული კომბინატი. უახლესი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სააწრობში იბადება ქართული კერამიკის ძველი და ახალი უნიკალური ნიმუშები, რომელიც დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ჩვენი, ისე სასუფარგარეთის მრავალ ქვეყანაში. სამმართველო დიდი სამუშაოები ჩაატარა თვით აკადემიის შენობაზე. მთავარ კორპუსს რეკონსტრუქციის დროს მოუწევდა ახალი კერამიკული სააწრობები, გაზისსაქვი ლუმენებით, გაკეთდა ცენტრალური გათბობა და მოწყობილი სამი საგამოყენო დარბაზი.

ყოველწლიურად სამმართველოს უხდება კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ 45-50 ობიექტის გაფორმება ან რეკონსტრუქცია, ეს უნდაურესად გამოიყველია იმით, რომ ეს დაწესებულებები ძირითადად მოთავსებულია ძველ შენობებში, და ყოველ წელს საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. საწარმო სამმართველოს კოლექტივი მუდმილი ექიმებით უვლის მათ. ზაფხულობით, როცა თეატრები საავსტროლედ მიდინან, ამ მუსიკალური საწარმების სტუდენტებს არაადვილები აქვთ, სამმართველო გააკეცვლა სამუშაოებს ატარებს, რომ მოკლდ დროში 30-40 დღეში მოასწროს ყველა და აველადფერი, რომ ახალი სეზონი თეატრებმა დაიწყო უფრო უკეთეს პირობებში, სტუდენტებმა კი მყვადნიებმა კეთილმოწყობილი აუდიტორიები.

ვინ მოთვლის რა სამუშაოები აქვს ჩატარებული სამმართველოს თავისი არსებობის მანძილზე. ამ რამდენიმე წლის წინ ჩატარდა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის მთლიანი რეკონსტრუქცია, ხოლო დიდი დარბაზის ძველი სტილის მძიმე კარები შეიკვალა შეშინილი ვიტრაჟით, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა პორტის, ამან შესანიშნავად შეუკვალა თეატრის გარე ფასადი სახე; ხოლო თვით შენობაში გადაკეთდა სანტექნიკური კვანძები, გაკეთდა ცენტრალური გათბობა, ყოველივე ამან გაუმჯობესა მაცურებელთა კულტურული მომსახურება. იქ ამამადაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

ამ რამდენიმე წლის წინ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დიდაც ორდანი. ამავე დროს დიდი სამუშაოები ჩატარდა კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში. მიმდინარე წელს კი კონსერვატორიას მიმტება ახალი სასწავლო კორპუსი კომფორტადური კლასებით და დამსმარ სათავსოებით, სამმართველოს კოლექტივმა უმოკლეს დროში და უმაღლესი ხარისხით ჩაატარა ეს სამუშაოები და ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, ძველი სასწორეული ბინების ხარჯზე, კონსერვატორიის სტუდენტებმა მიიღეს ლამაზი და კეთილმოწყობილი აუდიტორიები.

ცნობილია რომ რესპუბლიკის ცენტრალური ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში განიცდიდა სათავსოების სიმცირეს. სამმართველო იქ მოაწყო ახალი სათავსოები და თარიები ათი ათასობით წიგნისათვის, რეკონსტრუქცია გაუკეთა მრავალ ძველ სათავსოს, ჩაატარა სანტექნიკური სამუშაოები, მოაწყო ცენტრალური გათბობა და სხვა მრავალი სამუშაო.

მიმდინარე წელს ზაფხულის პერიოდში რეკონსტრუქცია გაუკეთდა ქართულ მოზარდ მაცურებელთა თეატრის შენობას. გამოიკვალა და ამაღლდა იატაკი. ლიკვიდირებული იქნა ზედმეტი მოაჩრები და აიგნები, გააკეთდა ფიფი, დიდაც ახალი სკამები, შეიკვალა სცენის შექანიზაცია და ელექტროგაყვანილობა, შენობის შიგნით მაღალი ხარისხით ჩატარებულმა საღებრო სამუშაოებმა თეატრს მთლიანად ახალი ელფერი მისცა.

საქართველოს სურათების გალერეაში სამმართველომ ჩაატარა ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაოები. მინის ვიტრაჟებმა მთლიანად შეკვალა და გაალამაზა წინა ფასადი, გამოიკვალა სასურავი და გათბობა-განათების სისტემა, ორიგინალურად გაკეთდა იატაკი. გალერისი ყველა სართულში კი მიწისაგან გასუფთავდა 500 კვადრად-

თბილისის თეატრის თეატრის ფოტო.



ტული მეტრის ფართობი და აშენდა ახალი სათავსოები. მიზნინარე წელს სამმართველომ რუსთაველის პროსპექტზე ააშენა ცენტრალური საბილეთო საღაროების შენობა, რომელიც პაეროვანდა არის აგებული და მხსაველთა მოწონებას იმსახურებს.

სამმართველომ რეკონსტრუქცია გაუკეთა პიონერთა და მისწავლელთა სასახლეს, კინოთეატრ „ამირანს“, „კოლხიდის“ სასამართო დარბაზს, თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს, მეორე მუსიკალურ სკოლას, ბევრ წიგნის მაღაზიას. უნდა აღინიშნოს, რომ სამმართველოს მიერ ჩატარებული ეს რეკონსტრუქციები ყოველთვის არის საფუძვლიანი, და მის შემდეგ ობიექტ მთლიანად იცვლის ხოლმე ძველ სახეს. ამ მუშაობაში სამმართველოს დიდი დახმარებას უწევნენ ქართველი არქიტექტორები: მ. მგერელიშვილი, ო. ლითაინიშვილი, თ. მაჭავარიანი და სხვები.

სამმართველოს შუგნით აქვს აგებული ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმზე. იქ თითქმის ყოველ წელს მიმდინარეობს სხვადასხვა ხელოვნების უანგარო და უჩინარ მსხურთ ყველგან სილამაზე, სიახლე და სიხარული შეაკეთ.

ძნელად თუ მოიპოვება თბილისში და საერთოდ საქართველოში ხელოვნების ან კულტურის დაწესებულება, სადაც სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები არ ჩატარებინოს. სად არ უმუშავიათ მათ: თეატრებსა და კინოთეატრებში, ბიბლიოთეკებსა და სახლ-მუზეუმებში, წიგნის მაღაზიებში, ქორეოგრაფიულ თუ მუსიკალურ სასწავლებლებში. სამმართველოს სპეციალური სამსახური უმუშევრად ყველგან სასურველი სტუმრები არიან. ამ რამდენიმე წლის წინ თბილისის კომიტეტის დაავლებით სამმართველომ მესამე მასივში ააშენა საცხოვრებელი კორპუსი. თეატრების მშენებელმა სამმართველომ ააქვ გამოიჩინა თავი, გადაუხე ადრე ააშენა და უმაღლეს ხარისხზე ჩააბარა აღმასკომს მშენებელი 44 ბინიანი საცხოვრებელი სახლის კორპუსი.

დიდი პატრიოტულ საქმეს კვილინისდისიორად ემსახურება სამმართველოს მთელი კოლექტივი: ე. ოლიშვილი, გ. გიორგიშვილი, ე. ბახანი, ნ. მელაძე, ბ. ბოჭორიშვილი, ც. ახობაძე, ე. გამაკიძე, ვ. ფაფლინაშვილი და სხვები.

წლებანდელი სუხონი მარჯანიშვილის თეატრმა რეკონსტრუირებულ შენობაში დაიწყო. თეატრმა ორთვენახვევარში მთლიანად იცვალა სახე. გადააკეთდა სანტექნიკური კვანძები, აშენდა სადგორაციო სათავსოები, გარემონტდა მსხიხობთა ოთახები, დარბაზში დივიდო ხაღირა და შეიცვალა საგარდობები, გააკეთეს ვენტილაცია და საერთოდ ჩატარდა ძალიან დიდი სამუშაოები, რასაც, მშენებლებს ჩვეულებრივი ტემპით რომ ემუშავათ, ერთი წელი მაინც დასჭირდებოდა. ამავე დროს სამმართველო სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა კიდევ 15 ობიექტზე. სამმართველოს უფროსი ლევან ორახელაშვილი კი ყველგან იყო, ყველგან ასწრებდა. დილიდან გვიან საღამომდე თავს დასტრიალებდა მუშებს, მისი ინიციატივით მარჯანიშვილის თეატრის სარეკონსტრუქციო პროექტში ბევრი რამ შეიცვალა, გაუმჯობესდა.

სუხონის გახსნის დღეს თეატრის კოლექტივმა და ქართველმა მყურებელმა მაღალი შუფავება მისცა თეატრალურ-სამონტაჟო და სარემონტო სამშენებლო სამმართველოს ნამუშევრას, პრემიურაზე საპატიო სტუმრად იყო მოწვეული სამმართველოს კოლექტივიც.

ჩვენი თეატრების დირექტორები და ხელმძღვანელები, მადლიერების გრძნობით ლაპარაკობენ სამმართველოს კოლექტივზე. განსაკუთრებით კი მის უფროსზე ლევან ორახელაშვილზე, რომელიც ქართული ხელოვნების ქიზმადა, მისი ბოჭორინახუნდელ მიაჩნიათ.

სამმართველოს დიდი გვეგები აქვს. მალე ქუთაისში გაიხსნება




მუსიკალური კომედიის თეატრის ფოიე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი. ადგილობრივ სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად მის აშენებაში თავისი სპეციალობით წვლილი შეიტანა ჩვენი სამმართველო — შესარულებს ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოებსა და სასცენო განათებას, მოკლე ხანში დაიწყება სოხუმის დრამატული თეატრის და საქართველოს სიმფონიისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სარეპეტიციო დარბაზის რეკონსტრუქცია, სასცენო ვიდეოს თბილისის სიმფონიური დრამის თეატრი.

ამჟამად სამმართველო აწარმოებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საპატიო დარბაზის რეკონსტრუქციას, აშენდება და იმარაგებს სამეცნიერო მასალებს მომავალი წლისათვის, დაძაბული საზაფხულო სეზონისათვის. რამდენი რამ არის გაკეთებული, რამდენი გასაკეთებელი..

ლევან ორახელაშვილი ინიცირებულ-მშენებელია, მაგრამ იგი სამმართველოს რესპუბლიკური სახელოვნო დაწესებულებების ისეთივე ხელმძღვანელი და მხარისმძიმეები მოღვაწეა, როგორც ისინი, ვინც ქმნის საექსპლუატაციო, ფილმებს, ფურტილოებს, ქანდაკებებს, ვინც საერთო-სახალხო საქმეს არც ნიჭს აკლებს და არც დროს.

ასეც უნდა იყოს!



გიორგი დარისპანავიელი ფ. ძეჭინავის როლში.

## მსახიობის მოგონებები

გიორგი დარისპანავიელი



ქტომბრის რევილუციამდე, საქართველოში არ არსებობდა სპეციალური თეატრი ბავშვებისათვის. უფრო მეტიც, მათ ხშირად მოზრდილთა თეატრშიც არ უშვებდნენ სპექტაკლებზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დარისპანავის მიხედვით ერთგვარი წინაპირობა შეუქმნეს ჩვენმა

სახელოვანმა თეატრალურმა მოღვაწეებმა. რამდენიმე საცენებელი წარმოდგენა დაიწყო რესპუბლიკის სახალხო არტისტის დიოთ ანთაძის ხელმძღვანელობით, რის შემდეგ ოფიციალურად ჩამოყალიბდა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი. აღსანიშნავია, რომ დასი მთლიანად ახალგაზრდა მსახიობებისაგან შესდგებოდა. ამავე დროს, თეატრში მსუბუქად მიიღეს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული ნიჭი-

ერი სცენისმოყვარეები, რომლებმაც სულ მალე დაამსახურეს პროფესიონალის წოდება და თეატრის წამყვან მსახიობთა რიგში ჩადგნენ.

1928 წლის 11 ნოემბერს, დღის პირველ საათზე ოპერისა და ბალეტის თეატრში, სპექტაკლ „ფრიც ბაუერი“ გაიხსნა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის პირველი სეზონი.

სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. სიხარულსა და აღფრთოვანებას ერთნაირად განიცდიდნენ როგორც მოზარდნი, ასევე მოზრდილნიც.

პირველი სპექტაკლის წარმატება ვერ კიდევ არ ნიშნავდა საბოლოო გამარჯვებას, საჭირო იყო ინტენსიური მუშაობა, მაღალმხატვრული სპექტაკლების შექმნა.

პარტიისა და ხელისუფლების ყოველდღიური ყურადღების და მზრუნველობის შედეგად, თეატრის გარშემო დაიარსდა საქართველოს მოწინავე მწერლობა, სკოლის დამსახურებული მასწავლებლების, კომკავშირების საუკეთესო აქტივი. მალე მას სახელმწიფო თეატრის წოდება მიენიჭა.

1929 წლის ზაფხულში, თეატრი გასტროლებზე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში. პირველად ქალაქ გორში ჩავიდით. მიუხედავად იმისა, რომ შუა ზაფხულის კამკამა მზე აცხუნებდა, ხელმძღვანელობის განკარგულებით ყველამ საგანგებოდ შექმნილი საწვიმარი ლაბადები ჩაიცვიით და თავიდანვე რომ მიგვეპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება, ვაგონიდან ერთად ჩამოვედით. ჩვენი ჩაცმულობა მართლაც უმალ თვალში ეცათ. ხალხი აფეფდნენ. ზოგს მოძმე რესპუბლიკიდან ექსკურსიაზე ჩამოსულები ვგონებ, ზოგი კი ფიქრობდა — ექვნი, აუცილებლად, ცირკის მოთამაშენი იქნებიან, დღეს ალბათ სადმე ჯამბაზობას გამართავენო. მართლაც, ჩვენივეს რომ შეგვხვდათ ცირკის მსახიობებისაგან ძნელად გაგვარჩევდით. კუპრაშვილს და თვალთაშვილს, იმ გრძელ საწვიმარ ლაბადებთან ერთად, თმები ბიჭურად ჰქონდათ შეკრებილი და ცირკის აკრობატებისა თუ ჟინგლიორების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.

პირველ დღეს თეატრმა სამი წარმოდგენა უჩვენა გორის საზოგადოებას და დიდი მოწონება დაიმსახურა. შემდეგ ხაშურში ჩავიდით. ამჯერად საწვიმარი ლაბადები აღარ ჩავიცვიცა, რადგან აუტანელი სიცხე იყო. გასტროლები თვე და 27 დღე გაგრძელდა. იმ დროიდან მოყოლებული მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი სისტემატურად მოგზაურობდა საქართველოს პერიფერიებში და ახალგაზრდა თაობას თავის საუკეთესო სპექტაკლებს უჩვენებდა. პირველი კლასიკური ნაწარმოები, რომელიც ჩვენი თეატრის პატარა სცენაზე დაიდგა, იყო „სურამის ციხე“ (დანიელ ჭოჭიძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით). ამ სპექტაკლმა უწარღებდა მიიპყრო საბჭოთა

კავშირის მინისტროს საბჭოსთან არსებულ ხელშეწყობის საქმეთა კომიტეტის მიერ 1940 წელს ქალაქ მოსკოვში მოწყობილ საბავშვო სასპეციალების საკავშირო დაფინანსებებზე, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ისტორიაში ეს არის სამეტყველო, რომელიც 400-ზე მეტჯერ იქნა ნაჩვენები.

თეატრი მუდამ გულმოდგინედ იღწვის კლასიკური მეგვიდრეობის განხორციელებისათვის. რუსული დრამატურგიიდან მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა პირველად განახორციელა ალექსანდრე პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“ (პიესად გადმოკეთებული ნახუცრიშვილისა და გამეკვლის მიერ). პიესა დაიდგა გენიალური პოეტის გარდაცვალების ასი წლისთავთან დაკავშირებით. თეატრი დიდი უზარდებით მოვიდა შვედური შემოქმედებას. დასადგმულად შეარჩია „რომეო და ჯულიეტა“. ამ პიესაზე მუშაობის დაწყება დიდი შემოქმედებითი ზეიმი იყო. თეატრის კოლექტივმა რეჟისორ ალექსანდრე თაყაიშვილთან ერთად „რომეო და ჯულიეტას“ დადგმით გამოაღიანა დიდი კულტურა და შემოქმედებითი პოეტისა. ეს სამეტყველო თეატრის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

თეატრი დიდი გულსყურით ევიდობდა მუშათა კლასის ბრძოლების ასახველ დრამატურგებს. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პიესა „ლალი კეცხოველი“, რომელიც ლენინური ახალგაზრდული მუშაობის გამოჩინელი ორგანიზატორის — ლალი კეცხოველის რევოლუციური მოღვაწეობას ეხეობდა.

როგორც ლალი კეცხოველის როლის შემსრულებელი, ნებას ვაძლევ ჩემს თავს პირადი შეფასება მიეცე ამ სამეტყველო.

როგორც ცნობილია, მეფის მთავრობამ ციხეში ვერაგულად მოკლა რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლი ლალი კეცხოველი. მისი გვამი ციხიდან დახურული ეტლით გააპარეს და ფარულად დამარხეს. საბჭოთა მთავრობამ, კომუნისტურმა პარტიამ შემდგომში აღმოაჩინა ლალი კეცხოველის საფლავი და მისი ნეშტი 1946 წელს გადმოსვენებული იქნა ვერის ძველ სასაფლაოზე, სადაც მიტინგი გაიმართა.

ასლად გაჭირვალს თავჩაქინდრული ვიდეი, როგორც ასლობელი კერისსუფალი და ყველაფერის ისევე განვიცდიდი, როგორც ლალი კეცხოველის ნათესავები. ეს შინაგანი განცდა და შობებულობა არასოდეს არ წაიშლება ჩემში.

„ლალი კეცხოველის“ შემდეგ დაიდა დრამატურგ გრიგოლ ბერძენიშვილის პიესა „სერგო“, რომელიც მგზნებარ ბოლშევიკის სერგო ორჯონიძის მოღვაწეობას ეძღვნება. პიესა ავტორია ფაქტობრივ მასალაზე და შთამაგონებლად მოგვიბრუნებს ახალგაზრდა რევოლუციონერის მოღვაწეობას.



სცენა სპექტაკლიდან „პატრიზანები“.

ბავ საქართველოში.

ამ ხასიათის დრამატურგიიდან მესამე პიესა იყო. გ. ნახუცრიშვილის პიესა „ქუცის ხაზზე“, რომელშიც ასახულია უშიშარი და ენერგიული ახალგაზრდა ქართველი ბოლშევიკის ბორის ძნელაძის შეუზღუავარი და დანებებული ბრძოლა ბენშევიკების წინააღმდეგ საქართველოში, მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ზღაპრები არ სარგებლობდნენ პედაგოგების მხარდაჭერით. ეს მცდარი შეხედულება იყო და თვით ცხოვრებამ დაადასტურა ამ თვალსაზრისის მანკიერება. ჩვენს თეატრში წარმატება ხვდა ქართული ზღაპრის „ნაყარქეთის“ დადგმას.

1940 წელს მოსკოვში, მოზარდ მაყურებელთა

სცენა სპექტაკლიდან „სამი აზნაზი“





ბელთა თეატრების საკავშირო დიფალოიერებაზე „ნაცრქეჟიამ“ „სურამის ციხესთან“ ერთად მაღალი შეფასება დამისხსურა. თეატრმა კიდევ რამდენიმე ზღაპარი უჭყენა ნორჩ მკურნებელს. მათ შორის აღსანიშნავია როდინი ქორქისა, „მართალი კაცია“, რომელიც კოლხიდის ჭაობის ამწორებისა და ახალი ჯანსაღი ცხოვრების გამარჯვებას ემება.



ქართულმა ახალგაზრდობამ, მთელი ჩვენი დღეი საშობლოს ახალ თაობასთან ერთად, არნახული გმირობა გამოავლინა დიდ სამამულო ომში. ჩვენი გეგავა ამასობა, რომ სკოლამ გამოსწავლა შესანიშნავი ახალი თაობა და ასეთი სამამულო ახალგაზრდობის გამოსწავლა მონაწილეობას იღებდა მოზარდ მკურნებელთა ქართული თეატრში. თეატრის ნორჩი მკურნებელი დავაგავდა, პატრიოტული სულისკვეთებით გაიხსტავლა იმ სპექტაკლების მშეშეობით, რომლებსაც თეატრი უჭყენებდა. ბრძოლის ველზე მათ თან წაიღეს ჩვენი

სპექტაკლებიდან მიღებული განცდები. სამამულო ომის პერიოდში მოზარდ მკურნებელთა ქართული თეატრის სამხატვრო ბრიგადამ ჰოსპიტლებში და სამხედრო ნაწილებში 300-ზე მეტ სსშეფო კონცერტს გამართა, რისთვისაც კავკასიის დაცვის სარდლობისაგან თეატრმა და ბრიგადის წევრებმა მაღლობები და სივლეები მიიღეს.

თეატრის კოლექტივის რამდენიმე წევრი სამამულო ომის დროს დონორად ითვლებოდა. კომედიენტებმა ლია ფერაქემ დღეი რაოდენობით მისცა სისხლი დჭვილ მებრძოლებს.

ერთსელ, როდესაც თეატრის მხატვრული ბრიგადა ჰოსპიტალში კონცერტს მართავდა, მებრძოლ კურნოს უთხრეს, რომ მონაწილეთა შორისაა მისი სიცოცხლის გადამარჩენი მსახიობი. კურნოვი კულისებში შევიდა და ლია ფერაქემ გადაგვითა.

სამამულო ომის დროს თეატრმა რამდენიმე პიესა დადგა სამშობლოს დაცვის პატრიოტულ თემაზე, მათ შორის აღსანიშნავია გ. ნახუცრიშვილის „გადატყავა“, რომელიც მოგვითხრობს კავკასიის დაცვის

ერთ-ერთ გმირსზე, უშიშარ სარდალ გენერალ კონსტანტინე ნიკოლოზისძე ლეონიძესა და მის ვაჟზე ოთარზე, რომელიც მამასთან ერთად იბრძოდა ფრონტზე.

სამამულო ომის დროს ბევრი მამა-შვილი იბრძოდა ერთად საწვობლის დასაცავად. მოზარდ მკურნებელთა ქართული თეატრდან ფრონტზე წასული მსახიობებიც ასევე იბრძოდნენ თავიანთ მკურნებლებთან ერთად მტრის წინააღმდეგ.


დღეი ბრძოლები გამოიარა მსახიობმა ანდრო ქერტეშვილმა. მამაცი ანდრო, ჯერ კიდევ ფინეთის ბრძოლის დროს მონაწილეობდა იმში როგორც ტანცისტი. სამამულო ომში მუდამ მოწინავე ზაზუნ იყო.

ორივე თვალში სინათლეაკრული დღეს იგი უსინათლოთა სკოლის კულტმშეაკია და ჩვენთან ერთად, ისევ და ისევ, კულტურის, ხელოვნების საქმეს ემსახურება.

მოზარდ მკურნებელთა ქართული თეატრი მუდამ პირნათლად ემსახურებოდა და ემსახურება ნორჩ მკურნებელთა თავის სპექტაკლებით. იგი კომუნისტური სულისკვეთებით ზრდის ახალგაზრდა თაობას.

# თეატრული თეატრში\*

ალისა კოინენი



